ჩავატაროთ მაღალ დონეზე

სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოების რწმუნებათა ვადების გასვლასთან დაკავშირებით, საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, ა. წ. დეკემბრიდან 1964 წლის მაისამდე ჩატარდეს სპორტკავშირის სარაიონო, საქალაქო, საოლქო, ასსრ და რესპუბლიკური საბჭოების ანგარიშგება-არჩევნები.

საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის დადგენილების შესაბამისად, საარჩევნო კრებები ფიზკულტურის კოლექტივებში უნდა ჩატარდეს 1964 წლის 30 იანვრამდე.

სპორტკავშირის სარაიონო, საქალაქო, საოლქო და ასსრ საბჭოების კონფერენციები გაიმართება 1964 წლის 1 თებერვლიდან 5 აპრილამდე, ხოლო რესპუბლიკური კონფერენცია — 1964 წლის 21 აპრილს.

სპორტკავშირის სარაიონო, საქალაქო და სამრეწველო-საწარმოო ზონების საბჭოები თვითონ განსაზღვრავენ კონფერენციაზე მონაწილე დელეგატთა რაოდენობას და ამასთან დაკავშირებით ადგენენ ფიზკულტურის კოლექტივებიდან წარმომადგენლობის ნორმებს. თბილისის, საოლქო და ასსრ კონფერენციებზე წარმომადგენლების ნორმებს (რაიონებიდან, ქალაქებიდან და სამრეწველო-საწარმოო ზონებიდან) ადგენენ სპორტკავშირის თბილისის საქალაქო საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ საბჭოები.

ანგარიშგება-არჩევნები მნიშვნელოვანი ეტაპია ფიზკულტურული კოლექტივების, ყველა სპორტული ორგანიზაციის ფიზკულტურულ მოძრაობაში. ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებისათვის სამზადისი ფიზკულტურული ორგანიზაციების პირველხარისხოვან ამოცანად უნდა გადაიქცეს. კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან ერთად ყველაფერი უნდა გააკეთონ მისი მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, ყველა პირობა უნდა შეიქმნას იმისათვის, რომ ფართოდ გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კადრების შერჩევასა და განაწილებას.

მთელი ჩვენი აქტივის ვალია ანგარიშგება-არჩევნები ჩატარდეს ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების, ფიზკულტურული კოლექტივების განმტკიცების, საზოგადოებრივი საწყისების გაშლის, ფიზკულტურასა და სპორტში მოსახლეობის ფართო ფენების მიზიდვის ნიშნით.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე ჩატარებული მუშაობის შესახებ ლაპარაკის დროს ყურადღება უნდა გავამახვილოთ მომავლის გეგმებსა და თვითვალდებულებებზე, უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი შესაძლებლობანი და ყოველნაირად შევუწყოთ ხელი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შვიდწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებას.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და
ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций
Грузинской ССР и Грузинского
республиканского совета профсоюзов

17
დეკემბერი
სამშაბათი,
1963 წ.
№ 248 (2353)
გამოცემის მე-20 წელი.
ფასი 3 კაპ.

გულთბილი შეხვედრა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზაღზრდის კათედრამ და პროფორგანიზაციამ შეხვედრა მოუწყეს საქართველოში სასწავლებლად ჩამოსულ კუბელ სპორტსმენებს.

საღამო გახსნა ფიზაღზრდის კათედრის გამგემ კ. ზაუტაშვილმა. მან ესპანურ ენაზე დამსწრეებს მოუთხრო იმ შთაბეჭდილებების შესახებ, რომელიც მას კუბაში 1962 წელს ყოფნის დროს შეექმნა. სტუმრებს მიესალმა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, მსოფლიო რეკორდსმენი, სპორტის ოსტატი შ. ქველიაშვილი. საპასუხო სიტყვით გამოვიდა კუბელ სპორტსმენთა დელეგაციის ხელმძღვანელი, რომელმაც აღნიშნა საბჭოთა კავშირისა და კუბელი ხალხის მეგობრობის მნიშვნელობა და განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გულთბილ დამოკიდებულებას, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ხვდება კუბელი ახალგაზრდობა საქართველოში.

საღამოს მეორე განყოფილება უნივერსიტეტის სტუდენტთა სპორტული გამოსვლებით დაიწყო. სპორტის ოსტატმა ჟ. ქაჯაიამ და მ. სიბაშვილმა ნაირსიმაღლის ორძელზე ნებისმიერი ვარჯიშის შესრულებით მაღალი ოსტატობა გამოავლინეს. სტუმრების მაღალი შეფასება დაიმსახურეს ღერძზე ვარჯიშში თ. ბარამიძემ, ო. შერვაშიძემ, ყ. ლუდუშაურმა, ა. ჯავრიშვილმა.

დასასრულს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მოცეკვავეთა და მომღერალთა ანსამბლმა რამდენიმე ნომერი შეასრულა, რამაც სტუმართა განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია.

* * *

სურათზე: კუბელი სპორტსმენები უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საკავშირო ჩემპიონატები ჭადრაკში

ბრძოლა კვლავ განახლდება

ბაქოში ქალთა ჩემპიონატის დასკვნით, XIX ტურში უნდა გამოვლენილიყო ჩვენი ქვეყნის 1963 წლის ჩემპიონი და პრეტენდენტთა ტურნირის სამი მონაწილე. მაგრამ ეს არ მოხდა.

რანიკუმ იშვიათი სიმტკიცით ითამაშა პოსტნიკოვასთან და გაიმარჯვა. მან 14 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულის მოგროვება შეეძლო მხოლოდ ზატულოვსკაიას, რომელიც თამაშობდა ბორისენკოსთან. ორი დღე იბრძოდა გამარჯვებისათვის ბაქოელი ოსტატი და მიაღწია სასურველს.

I-II ადგილები გაიყვეს გასული წლის ჩემპიონმა, საერთაშორისო ოსტატმა ზატულოვსკაიამ და 22 წლის ტალინელმა პირველთანრიგოსანმა რანიკუმ. ჩემპიონის გამოსავლინებლად მათ შორის მალე მოეწყობა მატჩი. ორივე მოჭადრაკე მოხვდა პრეტენდენტთა ტურნირში.

მესამე ადგილზე პრეტენზიას აცხადებდნენ კოზლოვსკაია, კუშნირი, ვოლპერტი და ჩაიკოვსკაია, რომლებსაც 12-12 ქულა ჰქონდათ. საინტერესო ბრძოლა გაიმართა კუშნირ-ვოლპერტის შეხვედრაში. მოსკოველმა ოსტატმა შეძლო გამოცდილი მეტოქის დამარცხება. გაიმარჯვა კოზლოვსკაიამაც. კუშნირმა და კოზლოვსკაიამ 13-13 ქულა მოაგროვეს და III-IV ადგილები გაიყვეს. პრეტენდენტთა ტურნირის მესამე მონაწილის გამოსავლინებლად მათ შორის დაინიშნება დამატებითი შეხვედრები.

მოსკოველ და პიატიგორსკელ კოლეგებს ვერ დაეწია ჩაიკოვსკაია, რომელმაც ვერ გადალახა ბელავენეცის დიდი წინააღმდეგობა და ყაიმით დაკმაყოფილდა. ამით ისარგებლა რსფსრ-ის ჩემპიონმა სკეგინამ, რომელმაც დაამარცხა ზვორიკინა და დაეწია საქართველოს ჩემპიონს. მათ დააგროვეს 12,5-12,5 ქულა.

შემდეგი ადგილები ტურნირში განაწილდა ასე: ლ. ვოლპერტი (12 ქულა), ლ. შადურა (10 ქულა), რ. კაზმინა, ფ. დმიტრიევა (9 ქულა თვითეულს), ვ. ბორისენკო, ე. კაკაბაძე, ო. იგნატიევა (8,5 ქულა თვითეულს), ს. როოტარე, კ. ზვორიკინა (8 ქულა თვითეულს), ლ. კანტოროვიჩი (7 ქულა), ე. ბიკოვა, ლ. პოსტნიკოვა (5 ქულა თვითეულს), ს. ივანოვა (3 ქულა).

მსოფლიო ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა, რომელიც დაესწრო ჩემპიონატის დასკვნით ტურებს, განაცხადა, რომ მიმდინარე ჩემპიონატი მეტად ძლიერი შემადგენლობის იყო. ჩემპიონატისათვის დამახასიათებელია ახალგაზრდობის შთამბეჭდავი თამაში.

მსოფლიო ჩემპიონმა თქვა, რომ მას მოსწონს რანიკუს, სკეგინასა და კოზლოვსკაიას თამაში. ისინი კარგად ერკვევიან რთულ პოზიციებში. ზატულოვსკაიასა და კუშნირის შედეგები არ არის გასაკვირი. ისინი სამართლიანად უძლიერესნი არიან.

— ჩემპიონატი ცხადყოფს, — ამბობს ნ. გაფრინდაშვილი, — რომ ახალგაზრდა საბჭოთა მოჭადრაკეები საიმედო ძალას წარმოადგენენ.

დაწინაურდა ბ. სპასკი

ლენინგრადში ვაჟთა ჩემპიონატზე ერთდღიანი დასვენების შემდეგ XIII ტურით განახლდა ბრძოლა.

საინტერესოდ დაიწყო სპასკი-გუფელდის შეხვედრა, მაგრამ მდგომარეობა კარგახანს თანაბარი რჩებოდა. 22-ე სვლაზე გუფელდს გამორჩა სპასკის კარგად შენიღბული დარტყმა და უპაიკოდ დარჩა. მალე მან კიდევ ორი პაიკი, ფიგურა დაკარგა და დანებდა.

პირველი გამარჯვება მოიპოვა ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ ზახაროვმა. სიცილიურ დაცვაში ფურმანთან იგი მალე დაეუფლა ინიციატივას და მძლავრად შეუტია ცენტრში დარჩენილ შავების მეფეს. 29-ე სვლაზე მოიგო პარტია. ცაიტნოტში გადაწყდა კორჩნოი-ბონდარევსკის პარტიის ბედი. ბონდარევსკიმ იერიშში ორი პაიკი დათმო. კორჩნოიმ აიყვანა ისინი და შეინარჩუნა. უიმედო პოზიციაში ბონდარევსკიმ შეწყვიტა წინააღმდეგობა.

ყაიმით დასრულდა პოლუგაევსკი-ბაგიროვის, ნეი-სუეტინის და ტაიმანოვ-გიპსლისის შეხვედრები.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. გელერს ხოლმოვთან ლაზიერების დაბოლოებაში მოგების დიდი შანსები აქვს, ხოლო შტეინს ზედმეტი პაიკი აქვს ავერბახთან.

XIII ტურის შემდეგ წინ არიან: სპასკი (8,5 ქულა), ხოლმოვი (8 ქულა და ერთი გადადებული პარტია), სუეტინი (8 ქულა), გელერი და შტეინი (7,5 ქულა და თითო გადადებული პარტია), ბაგიროვი, კორჩნოი, პოლუგაევსკი (7,5 ქულა თვითეულს).

არმიელები — პირველ ადგილზე

კაუნასში დამთავრდა საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ძალოსნობაში. შეჯიბრების ბოლო დღეები რამდენიმე რეკორდით აღინიშნა. ქვემძიმე წონაში ხარკოველმა ვ. ბერლიზოვმა 0,5 კილოგრამით გააუმჯობესა ლენინგრადელი ა. გავრილოვის მსოფლიო რეკორდი ატაცში. ახლა მსოფლიო რეკორდი 147 კილოგრამს უდრის. ამ წონაშივე საკავშირო რეკორდის მფლობელი გახდა ვოლგოგრადელი ა. კალინიჩენკო. მან აჰკრა 185,5 კილოგრამი და ე. ბროვკოს წინანდელი რეკორდი 1 კილოგრამით გააუმჯობესა. მანვე 462,5 კილოგრამის დაგროვებით პირველი ადგილი დაიკავა ამ წონით კატეგორიაში.

მძიმე წონაში პირველობდა რ. შეიერმანი — 475 კილოგრამი, ხოლო ზემძიმეში — ვ. პოლიაკოვი — 495 კილოგრამი. გუნდურ ჩათვლაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს არმიელებმა.

სურათზე: რესპუბლიკის 1963 წლის ჩემპიონი ფეხბურთში ქუთაისის „იმერეთის“ გუნდი. **სხედან** (მარცხნიდან): დ. აბუთიძე, ნ. მიქაია, ვ. კვახაძე, გ. დუნდუა, ა. ხუჯაძე, ი. ხომიაკოვი. **დგანან** — ვ. სილაგაძე, ვ. შალამბერიძე, ქ. კვიტივაძე, ა. გორდაძე, ჯ. ჩუხუა, ა. მარგველაშვილი, ა. საფაროვი, გ. მერაბიშვილი, მწვრთნელი სპორტის ოსტატი ჯ. რუსაძე.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

სანგარში აღმართული ვაჟკაცი

გაივარჯიშე შენ სხეული,
სუნთქვა, კუნთები,
სამხედრო საქმეს
მაშინ უფრო დაეუფლები.

ვლადიმერ მაიაკოვსკის ეს სიტყვები სამამულო ომის მრისხანე ორმოცდაერთში თან გაჰყოლია სამშობლოს დასაცავად მიმავალ ვაჟკაცს დავით სვანიძეს. და ზუსტად ერთი წლის შემდეგ სამხედრო ნაწილიდან მოვიდა თავზარდამცემი ცნობა: პოლიტხელი დათიკო სვანიძე გმირულად დაეცა ფაშისტურ ურდოებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ამას თან ერთვოდა საფრონტო გაზეთიდან ამონაჭერი სერჟანტ რიაბსკის ლექსი, რომელიც აღწერდა დ. სვანიძის თავგანწირული ბრძოლის ეპიზოდებს.

ვინ იყო დ. სვანიძე?

სპორტის ვეტერანი დავით მაჭავარიანი (ამჟამად პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე) იგონებს:

... ქიათურაში მუშაობის პერიოდში (1923-30 წ. წ.). ჩემი ყურადღება მიიქცია ვაგონების მტვირთავმა მუშამ დათიკო სვანიძემ. ეს ახალგაზრდა წარმოადგენდა ათლეტური აღნაგობის, მოქნილ ჭაბუკს. იგი ბავშვობიდან სპორტით იყო დაინტერესებული. ახალგაზრდობის წლებში კი რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონი გახდა ბადროსა და ყუმბარის ტყორცნაში, საკავშირო სარბიელზეც დაიცვა ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება. შემდეგ მოსკოვი, წარჩინებით დამთავრებული ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტი...

სამამულო ომმა დ. სვანიძეს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის კადრების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე მოუსწრო. ფრონტზე პოლიტხელი წავიდა....

1942 წელი... 386 მსროლელი დივიზიის 775 ლეგიონი. გმირული ქალაქი სევასტოპოლი, საპუნგორა. აი ამ ლეგენდარულ ადგილებში იბრძოდა დათიკო.

დ. სვანიძე

ამჟამად თადარიგში მყოფი მაიორი გიგა ერისთავი მოგვითხრობს:

— მე და დათიკო ერთად წავედით ფრონტზე და ერთად ვიბრძოდით.

1942 წლის თებერვალში დივიზიის სარდლობის ბრძანებით უნდა აგვეღო უსახელო სიმაღლე ფედუნისკის მთაზე. დათიკომ ბრწყინვალედ შეასრულა სარდლობის დავალება. იგი ლომივით ტრიალებდა იერიშის დროს და მტერს სეტყვასავით აყრიდა ყუმბარებს. მან საკუთარი ზურგით გამოიტანა მრავალი დაჭრილი, დაღუპულები დაიტირა და მიწას მიაბარა.

ვინ იცის, რამდენ ურჯუკს მოუსწრაფა სიცოცხლე დათიკოს ნატყორცნმა ყუმბარებმა, ხოლო მისგან მოკლული 12-13 ფაშისტი საკუთარი თვალით ვნახე, — განაგრძობს გ. ერისთავი. სწორედ ამიტომ დაიმსახურა პირველმა ჩვენს დივიზიაში მედალი „მამაცობისათვის“. სხვათაშორის, მედალი რომ მივულოცეთ, ღიმილით გვითხრა: ეს რაა, თბილისში გმირი უნდა დავბრუნდეო.

— დათიკო ჩვეული ვაჟკაცობით იქცევა, — წერს გრიგოლ ჩაჩავაძეს (ამჟამად ფიზკულტურისა და სპორტის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი) ფრონტელი მეგობარი, მაგრამ ბადროსა და ყუმბარის ტყორცნას ასე ოსტატურად თუ გამოიყენებდა, ვერ წარმოვიდგენდი. იგი გოლიათივით აღიმართა სანგარზე და... მისგან ნატყორცნი ყუმბარა მტრის განლაგებაში ვარდებოდა. ალბათ დაუდარაჯდნენ ამ უცნაურ ყუმბარის მტყორცნელს...

დ. სვანიძე სნაიპერის მტრის ტყვიამ განგმირა. ეს იყო 1942 წლის 15 აპრილს.

ამხანაგებმა ფიცი დასდეს დათიკოს ნეშტის წინაშე, შავს ნაბადში გაახვიეს და სოფელ შულაში (სევასტოპოლიდან 15 კილომეტრზე მოშორებით) მიწას მიაბარეს.

გ. მეგრელიშვილი

„თარსი“ რიცხვი და „ბედნიერი“ ბილეთი

★

სპორტსმენთა ათეისტური აღზრდის ზოგიერთი საკითხის გამო

★

ყველას ახსოვს ამერიკელ კალათბურთელთა პირველი ვიზიტი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, მაგრამ ალბათ ბევრმა არ მიაქცია ყურადღება ერთ საგულისხმო დეტალს: წვიმის გამო მატჩის დაწყება ნახევარი საათით გადაიდო. კალათბურთის მოედანზე, რომელიც სახელდახელოდ მოეწყო „დინამოს“ სტადიონის მწვანე მინდორზე, კალათბურთელები ირეოდნენ. მოულოდნელად მათ გამოეყო ერთი ქერა ამერიკელი, მივიდა მოედნის კუთხეში, გადმოაპირქვავა ქაღალდის პატარა პარკი და თეთრი ფხვნილი მოაფრქვია იატაკის ერთ ნაწილს.

რა იყო ეს? იქნება ამერიკელმა კალათბურთელმა, ფეხი რომ არ დაცურებოდა, სპეციალური ფხვნილი მოაყარა იატაკს? მაგრამ რაღა მოედნის ერთი პატარა კუთხე აირჩია მხოლოდ? ჩემი ეჭვი მხოლოდ მაშინ გაიფანტა, როდესაც გავიხსენე მსგავსი მოქმედებანი ბურჟუაზიულ სპორტულ მოძრაობაში: ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ინგლისში და სხვა ქვეყნებში ზოგიერთ გუნდს თან მიაქვს საკუთარი მოედნის მიწა, დარბაზის იატაკის ნაჭრის ნახერხი და მას მოწინააღმდეგის მოედანზე ან დარბაზში გამოსვლის წინ შეუმჩნევლად მოაფრქვევს ხოლმე, აქაო და, ფეხქვეშ ისევ საკუთარი მოედნის ძალას ვიგრძნობთო.

ცრურწმენანი, ბედისა და ათასგვარი ავგაროზების ძალა ბურჟუაზიული სპორტის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა. მსოფლიო კლასის ბევრ სპორტსმენსაც კი წამს ლოცვისა და სხვა რიტუალების ძალა, ცნობილია, რომ შეჯიბრებაზე გამოსვლის წინ მხურვალედ ლოცულობდა ჭოკით სიმაღლეზე მხტომელი ამერიკელი რიჩარდსი, ხოლო შტანგისტებს—ვინჩისა და ჯორჯის ყოველთვის თან დააქვთ ბიბლია. ლოცვის ძალა განსაკუთრებით სწამდა ირანელ შტანგისტს ნამდიუს. იგი იჩოქებდა ხოლმე იარაღის წინ, აღაპყრობდა ხელებს მაღლა და შესძახებდა: „ალაჰ! ალაჰ!, რის შემდეგაც ეძგერებოდა შტანგას. ასე ილოცა მან 1952 წელსაც ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც იგი გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაება საბჭოთა ატლეტ უდოდოვთან. უკანასკნელი წონის აკვრის წინ მან ჩაატარა ლოცვების მთელი სერია, მაგრამ ამაოდ. ამ მარცხის ანგარიში ასე დაასათაურა ერთმა ფინურმა გაზეთმა „ღმერთის იმედი გქონდეს, მაგრამ შენც მარჯვედ იყავი“, — თქვა საბჭოთა სპორტსმენმა ივანე უდოდოვმა და წაიღო ოქროს მედალი იმ დროს, როდესაც ალაჰს უხმობდა დახმარებისათვის ირანელი ნამდიუ“.



საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბევრ საზღვარგარეთელ სპორტსმენს უკვე საკმაოდ შეერყა შეხედულება ლოცვებისა და სხვა ცერემონიების მიმართ, რადგან ამ პროცედურის მოიმედეებმა ბევრჯერ მარცხი განიცადეს: მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკელ რიჩარდსს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს სპორტსმენებთან კუზნეცოვსა და კუტენკოსთან. ერთ-ერთი მეგობრული საუბრის დროს რიჩარდსმა თურმე ჰკითხა საბჭოთა კოლეგებს: „ბიჭებო, თქვენ თუ ლოცულობთ შეჯიბრების წინ?“ როცა გაიგო, რომ ასეთი რამ უცხო იყო საბჭოთა სპორტსმენებისათვის, მან თქვა: „მე კი ვლოცულობ და მეხმარება კიდეც“, შემდეგ ეშმაკურად გაიღიმა და დაამატა: „თუმცა ამის გარდა საჭიროა აგრეთვე ბევრი ვარჯიში!“.

როდესაც იხსენებ ცრურწმენის ფაქტებს, არ შეიძლება სინანულით არ შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ ორიათას ორასი წლის წინათ ბერძენი ფილოსოფოსი ეპიკური ამბობდა: „სიბრიყვეა ადამიანი ღმერთებს სთხოვდეს იმას, რაც თვითონ შეუძლია მოიპოვოს!“.

უფრო დასანანი კი ისაა, რომ ცრურწმენათა გარკვეულ ნიშნებს ვხვდებით ჩვენს სპორტსმენებს შორისაც, განსაკუთრებით ჭაბუკებში, თუმცა ხშირად საკმაოდ ცნობილი სპორტსმენებიც სცოდავენ ამ მხრივ. მართალია, ამ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ცრურწმენათა ისეთ აშკარა და სერიოზულ გამოვლინებებს, როგორსაც ვხვდებით ბურჟუაზიული ქვეყნების სპორტსმენთა შორის, მაგრამ ის მცირე ნიშნებიც კი, რასაც, სამწუხაროდ, ავლენენ მოვარჯიშენი, ჩვენი მწვრთნელებისა და პედაგოგების განსაკუთრებულ ყურადღებას და აღსაზრდელთა შორის იდეოლოგიური მუშაობის შემდგომ გარდაქმნას მოითხოვენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ვესაუბრეთ საქართველოს გამოჩენილ მწვრთნელებს და დავრწმუნდით, რომ ისინი ამჩნევენ სპორტსმენებში ცრურწმენათა ზოგიერთ ნიშნებს, მაგრამ ამ ნიშნების ეგრეთწოდებული „უწყინარი ხასიათის“ გამო საჭიროდ არ თვლიან მათს წინააღმდეგ ბრძოლას.

მაგალითისათვის ავიღოთ ფრენბურთელთა ქცევის ზოგიერთი დეტალი: თუ შეჯიბრებაზე მოსულ გუნდს დაავიწყდა ბურთის მოტანა, არავითარ შემთხვევაში არ დაბრუნდებიან ბურთის მოსატანად. რატომ? ეს თურმე ცუდად აქვთ დაცდილი! ან კიდევ: ფრენბურთელ ვაჟთა გარკვეული ნაწილი ცდილობს შეჯიბრებაზე მოვიდეს გაუპარსავი. ამ მოქმედებას ისინი ასეთი ლოგიკით ამართლებენ: შეჯიბრებაზე გაპარსული და გალამაზებული მოსვლა იმას ნიშნავს, რომ უკვე წინასწარ ვზეიმობთ გამარჯვებას; ვაი, თუ დავისაჯოთ ამ თავხედობისთვისო. საკითხავია, ვის წინაშე იგრძნობა ეს შიში? როდესაც ერთ-ერთ ფრენბურთელს ვკითხე: ამ მოქმედებით შიშს ღმერთის წინაშე ხომ არ გამოხატავთ-მეთქი, მან გულწრფელი სიცილით მომიგო:

— როგორ გეკადრებათ, ღმერთი ვის ახსოვს.

— მაშ, წვერგაუპარსავი მოსვლით რის, ან ვის წინაშე გამოხატავთ მორიდებას?

— რა ვიცი, — მითხრა მან ისევ გულახდილად, — ასე კი ვიქცევით და!

განა პარადოქსი არაა არ გწამდეს ზებუნებრივი ძალა, არ გწამდეს ბედის არსებობა და მაინც ბოჭავდე შენს მოქმედებას ამ ძალების წინაშე აუხსნელი რიდის გამო?!

ავიღოთ სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლები. როდესაც ჩოგბურთელი მიეჩვევა ერთსა და იმავე ჩოგანს, ეს გასაგებია; ჩოგნის ტარის ხელში მორგებას და მიჩვევას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ როდესაც მოკრივე ერთსა და იმავე ტრუსებს არ გამოცვლის წლების განმავლობაში, ვიდრე არ დაიცრიცება და გადასაგდები არ გახდება, — ეს ფაქტი რაღას მივაწეროთ? ასეთივე საეჭვო მიდრეკილება ფორმისადმი გააჩნიათ კალათბურთელებსა და ფრენბურთელებსაც.

ძალოსნებს შორის ასეთ ჩვევას წააწყდებით: შეჯიბრებაზე მოსული შტანგისტი თან მოიყვანს ამხანაგს, რომელიც „კარგად ყავს დაცდილი“. ფიცარნაგზე მდგარი შტანგისტი ჯერ მას შეხედავს, შემდეგ კი ასრულებს მოძრაობას.

ცამეტი რიცხვის, ტრანსპორტის ბედნიერი ბილეთის, ლერბზე დაგდებული ფულისა და სხვათა რწმენა ხომ მასობრივადაა მოდებული ახალგაზრდა სპორტსმენებში. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტი გადმომცა კალათბურთელ ქალთა ერთ-ერთი ძლიერი კოლექტივის მწვრთნელმა: „ტარდებოდა თბილისის პირველობა. ვხვდებოდით სახელმწიფო უნივერსიტეტის ძლიერ გუნდს. პირველი ტაიმი წავაგეთ ექვსი ქულით. გოგონები დასასვენებლად წავიდნენ გასახდელში. მე ვიცოდი, რომ გუნდის კაპიტანი და რამდენიმე წევრი ანგარიშს უწევდნენ ლერბზე დაგდებულ ფულის პოვნას. მოედანზე გამოსვლის წინ ზედ გასახდელის კართან დავდე ორშაურიანი ლერბით ზემოთ.

— გოგონებო! — მომესმა კაპიტანის ხმა, — თამაშს ვიგებთ, აი, საბუთი! — და მან ლერბზე დაგდებული ფული აჩვენა ამხანაგებს, ორი თუ სამი გოგონა სიხარულით მოეხვია მას. თამაში მართლაც მოვიგეთ. მაგრამ ცხადი იყო, რომ მოვიგეთ არა ფულის ნახვის გამო, არამედ იმით, რომ გოგონებმა მობილიზაცია გაუკეთეს ძალებს და მაქსიმალურად გამოიყენეს თავიანთი ტექნიკური და ტაქტიკური შესაძლებლობანი. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ძალთა მობილიზაციის სტიმულატორის როლში ცრურწმენა გამოვიდა. მე მოვახერხე ჩემს გოგონებში ამ რწმენის ალმოფხვრა და ახლა ეცინებათ, როდესაც ლერბზე დაგდებული ფულის „დახმარებით“ მოგებულ მატჩს გავახსენებ ხოლმე მათ“.

ჩვენი მწვრთნელები ალბათ გულდასმით არ სინჯავენ აღსაზრდელთა აღკაზმულობას, თორემ ბევრი მათგანი შეამჩნევდა მათს ყელზე ჩამოკიდებულ ავგაროზებს და, ასე გასინჯეთ, მინიატურულ ჯვრებსაც კი.

შეიძლება ზოგიერთი შეგვედაოს და თქვას, რომ ყველა ზემოხსენებული ფაქტი არაა სპორტსმენთა სერიოზული ცრურწმენის გამომხატველი და მათზე არ ღირს ლაპარაკი. ეს მეტად მცდარი და მავნე აზრია. ცრურწმენა, რაც არ უნდა უმნიშვნელო იყოს იგი, იწვევს ადამიანის ფსიქიკის, აზროვნებისა და მსოფლმხედველობის გაორებას. ცრურწმენას აყოლილ ადამიანში ჩვენ, ერთის მხრივ ვხედავთ მატერიალისტს, რომელიც მიზნის მისაღწევად მიმართავს ხავსებით ამქვეყნიურ ძალებსა და საშუალებებს, მაგრამ, მეორეს მხრივ, იგივე ადამიანს სჯერა რაღაც ძალის, სჯერა ბედისა, რაც ერთგვარად არბილებს მიზნის მიღწევისათვის მისი ბრძოლის სიმკვეთრეს. ასეთ ადამიანს როგორღაც ეჭვი ეპარება საკუთარი ძალებისადმი, რადგანაც მის ძალას თურმე მაინც ესაჭიროება სხვა ზეძალების დახმარება, ამასთან, მიზნის მიღწევისათვის ბრძოლის დროს იგი არ იყენებს ყველა არსებულ საშუალებას, რადგანაც ამ დანაკლისის კონპენსაციას რაღაც არარსებული ძალებისაგან ელოდება.



თავისთავად გასაგებია, რა დამღუპველია ასეთი გამოვლინებანი სპორტულ საქმიანობაში. შეჯიბრებაზე გამოსულ საბჭოთა სპორტსმენს არ უნდა ჰქონდეს არავითარი იღბლიანი ბილეთის, „ბედნიერი“ ტრუსების, ლერბზე დაგდებული ფულის, ავგაროზებისა და სხვა სისულელეების იმედი. იგი ასპროცენტიანი ათეისტი უნდა იყოს!

სპორტსმენთა ათეისტური აღზრდა ჩვენი მწვრთნელებისა და პედაგოგების იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელოვან უბნად უნდა იქცეს!

ა. ციბაძე

კლუბის პირველი ჩემპიონი

ამას წინათ ბორჯომში საზოგადოებრივ საწყისებზე გახსნილ საჭადრაკო კლუბში მოეწყო შეჯიბრება — კლუბის პირველი ჩემპიონატი. ტურნირში ერთმანეთს ეჯიბრებოდა 18 უძლიერესი ბორჯომელი მოჭადრაკე.

კლუბის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა პირველთანრიგოსანმა ექიმმა ა. ხარისჭირაშვილმა — 15 ქულა. ჩემპიონს არც ერთი პარტია არ წაუგია. მეორე ადგილი დაიკავა ინჟინერ-ჰიდროლოგმა პირველთანრიგოსანმა ნ. ნოზაძემ. მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს ვეტექიმმა გ. მელაშვილმა და კულტმუშაკმა პ. კულაკოვმა. მეხუთე ადგილზე გამოვიდა 14 წლის მოსწავლე ზ. კაზანჯიევი.

ბორჯომელ მოჭადრაკეებს განზრახული აქვთ სხვა საინტერესო შეჯიბრებათა მოწყობაც.

ა. გუსლაევი,
სპორტის ოსტატი.

ქალაქში უძლიერესის სახელისათვის

ჩვენს გაზეთში არაერთხელ აღნიშნულა, რომ დედაქალაქის კრივის ზოგიერთ სექციაში სერიოზული ყურადღება არ ექცევა ახალგაზრდა სპორტსმენთა მომზადებას, თანრიგოსან სპორტსმენთა აღზრდას და საიმედო რეზერვის შექმნის საქმეს. ეს გამოიხატება თუნდაც იმაში, რომ ნორჩ მოკრივეთა სხვადასხვა სახის ტურნირები არასათანადო სიმაღლეზე ტარდება. გაზეთის საშუალებით არაერთ და ორ ორგანიზაციას მიეთითა ამის შესახებ და იმედია, რომ ისინი მომავალში გაითვალისწინებენ ამ მდგომარეობას.

ამ დღეებში, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში უნდა მოეწყოს ქალაქის პირადი პირველობა კრივში ჭაბუკ მოკრივეთა შორის. შეჯიბრების მიზანია გამოავლინოს ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელსაც სათანადო წვრთნის შემდეგ შესაძლებლობა ექნება დაიკავოს წამყვანი პოზიციები ჩვენს კრივში. ტურნირში დაშვებული არიან უფროსი ასაკის პირველთანრიგოსანი მოკრივეები და ოსტატები. შეჯიბრება მოეწყობა ოლიმპიური სისტემით და იმედია იგი მეტ სიმძაფრეს შეიტანს გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ქალაქის ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ „დინამოს“, „სპარტაკის“, „განთიადის“, „შრომითი რეზერვების“, „ბურევესტნიკის“, აგრეთვე სხვადასხვა სასწავლებლების სპორტსმენები. ჩემპიონატის ნორმალურად, მაღალ დონეზე და ორგანიზებულად ჩატარება უდაოდ შეუწყობს ხელს კრივის პოპულარიზაციის საქმეს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობაში.

ე. ქელბაქიანი

ჩვენი ხელბურთელები უკეთ უნდა თამაშობდნენ

✦

მატჩებს კომენტარს უკეთებს სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი იანის გრინბერგასი.

✦

სპორტის სასახლეში გასულ კვირას დაწყებული ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირი უმთავრესად საბჭოთა კავშირის ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის მზადებამ განაპირობა. როგორც უკვე ცნობილია, საბჭოთა ნაკრები თავის პირველ შესარჩევ მატჩს ფინეთის ნაკრებთან თბილისში 20 დეკემბერს ატარებს. ამიტომ საერთაშორისო ტურნირში ჩვენი ნაკრების მონაწილეობას მისი მზადყოფნის კუთხით განვიხილავთ.

საბჭოთა კავშირის ნაკრები ამ დღეს ხვდებოდა აზერბაიჯანის კოლექტივს. მის ღირსებას რუმინეთის ახალგაზრდულ გუნდთან შეხვედრის გამო ორი თბილისელი — აბაიშვილი და ცერცვაძე არ იცავდნენ. ამან ერთგვარად შებოჭა ჩვენი ნაკრები და აზერბაიჯანელებთან მატჩში მან მთელი სისრულით ვერ გამოავლინა თავისი საბრძოლო თვისებები. მატჩის მხოლოდ პირველი 15 წუთი მიმდინარეობდა თანაბარ ვითარებაში, ხოლო შემდეგ უკვე აშკარად გამოიხატა საბჭოთა კავშირის ნაკრების უპირატესობა და საბოლოოდ აზერბაიჯანელები დამარცხდნენ საკმაოდ დიდი სხვაობით — 16:29 (7:12). საერთოდ ამ მატჩმა დაგვანახა, რომ გამარჯვებული გუნდი ჯერ კიდევ სათანადოდ შეუთამაშებელი კოლექტივია. ასე მაგალითად, მეტად გაუბედავად გადიოდა დაცვის ხაზი მოწინააღმდეგეთა თავდამსხმელებზე. გუნდი უფრო აქტიური იყო შეტევითი ოპერაციების ჩატარებისას. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურება იყო ფლანგის მოთამაშეების მიერ შესრულებული დავალება რიცხობრივი უპირატესობის შექმნაზე — ფლანგებიდან შუა მოედანზე სწრაფი გასვლები. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნაკრების ფლანგის მოთამაშეები ნაკლებ ინიციატივას ამჟღავნებენ ე. წ. თავისი ტერიტორიის მცირე მონაკვეთზე და არ ახორციელებენ ინდივიდუალურ გარღვევებს. გარკვეული დაღი დაასვა ნაკრების თამაშს აგრეთვე ერთ-ერთი მისი ლიდერის უსენკოს თბილისში გაურკვეველი მიზეზით ჩამოუსვლელობამაც.

კვირის მეორე მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ბუქარესტის ახალგაზრდული და ძირითადში თბილისის „ბურევესტნიკის“ მოთამაშეთაგან დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრები გუნდები. რუმინელების თამაშის „ხელწერა“ ამ შეხვედრაში ძირითადში შემდეგი სახით გამოიკვეთა: ბურთის დიდხანს გათამაშება, უკანა სამეულის გადამწყვეტ დარტყმებზე გაყვანა, ხაზზე არასრული ძალით თამაში, სწრაფი გარღვევა და შორი მანძილიდან დარტყმები, დაცვაში მწვავე და განსაკუთრებით მეორე ტაიმში კი აშკარად გამოხატული უხეში თამაში. აი ის კომპონენტები, რომლებიც თან სდევდა რუმინელთა საკმაოდ პრიმიტიულ ტაქტიკას.

მასპინძლების გუნდის სასტარტო შვიდეული ასე გამოიყურებოდა: აბაიშვილი, ექსეულიძე, ცერცვაძე, კარტოზია, ფხაკაძე, მაჭავარიანი, კოპალეიშვილი. აქ თვალში გვეცემათ ის ამბავი, რომ გუნდში არ იყო მისი ერთ-ერთი მთავარი ლიდერი ანთაძე (იგი დაისაჯა სპორტსმენისათვის შეუფერებელი საქციელის გამო), რამაც უთუოდ დიდი დაღი დაასვა თბილისელთა კოლექტივს.

მასპინძელთა კოლექტივში ზომაზე მეტად დასუსტდა დაცვის ხაზი, ხოლო ცერცვაძეზე გაუთავებლად და ძირითადში მოედნის შუა ნაწილში აგებულმა თამაშმა გუნდის ტაქტიკური ვარიანტები უსუსურ სქემებად გადააქცია. თბილისელები ერთობ „დაათრევდნენ“ ბურთს, ნელდებოდა ტემპი, ვერ ახერხებდნენ შეტევაზე სწრაფად გადასვლას და რაც მთავარია, უკან — დაცვის ხაზზე ფეხათრევით ბრუნდებოდნენ. გარდა ამისა, თბილისელთა მხოლოდ ერთი ფლანგი (კარტოზია) მოქმედებდა მთელი სითამამით, ამას ერთგვარად ხელს უწყობდა ისიც, რომ კოლექტივის წევრები ფლანგზე თამაშისას მხოლოდ მას აქცევდნენ ყურადღებას, ხოლო გამოთიშული ყავდათ მეორე ფლანგი (ფხაკაძე). ცერცვაძე უთუოდ მაღალი კლასის მოთამაშეა, მაგრამ ჩვენ მას უნდა ვუფრთხილდებოდეთ, ზომაზე მეტად მისი ექსპლოატაცია გუნდისავე ინტერესებისათვის დაუშვებელია. მოკლედ, რომ ვთქვათ, გუნდის ყველა წევრმა მაქსიმალურად შესაძლებელი დატვირთვით უნდა გაინაწილოს დასახული ამოცანის შესრულების სიმძიმე. მეორე ტაიმის ბოლო წუთებზე, როცა გუნდი დამარცხების საშიშროების წინაშე იყო, სპორტსმენებმა მოახერხეს ძალების მოკრება, თითქმის თანაბარი დატვირთვით ამოქმედდნენ და გადაურჩნენ კიდევაც დამარცხებას. 17:17 (10:12) — ასე დაამთავრეს მატჩი თბილისელებმა არც თუ ისე ძლიერ მეტოქეებთან.

გუშინ გვიან საღამოს დამთავრდა საერთაშორისო ტურნირის მორიგი, მეორე ტურის მატჩები.

• • •

რედაქციისაგან: კვირას ჩატარებულ მატჩებზე მაყურებელთა შორის სამწუხაროდ აღმოჩნდა რამდენიმე ხულიგანი, რომლებმაც თავისი ყოვლად უწესო და უხამსი საქციელით შებღალეს სპორტსმენთა საკმაოდ დაძაბული ასპარეზობა. სპორტის სასახლეში ასეთი გამოხდომების აღსაკვეთად სასახლის ადმინისტრაციამ და ქალაქის მილიციამ რაზმელებთან ერთად უფრო გადამჭრელ ზომებს უნდა მიმართონ. ამაში კი მათ ყველაზე პირველად ხულიგნების გვერდით მჯდომმა ობიექტური მაყურებლების დიდმა უმრავლესობამ უნდა შეუწყოს ხელი. განა შეიძლება დაივიწყო მოქალაქეობრივი უფლებები და მოვალეობანი, როცა შენს გვერდით ერთი მუჭა თავაშვებული ვიგინდარები თავისი უსაქციელობით გარცხვენს შენც და შენს ქალაქსაც?

• • •

სურათებზე: ზემოთ — თბილისელი კარტოზია პირისპირ გავიდა მეკარესთან; ქვემოთ — თამაშის მომენტი რუმინელთა კართან.

ფოტო მ. ზარგარიანისა

ლიდერობს ს. ფლორი

ამსტერდამში რამდენიმე დღეა მიმდინარეობს პატარა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ჰოლანდიაში სტუმრად მყოფნი მსოფლიოს ექსჩემპიონი მ. ბოტვინიკი და გროსმაისტერი ს. ფლორი. ტურნირში გამარჯვებისათვის იბრძვიან ცნობილი ჰოლანდიელი მოჭადრაკეები — ქვეყნის ჩემპიონი ოსტატი კუიპერსი, გროსმაისტერი დონერი, საერთაშორისო ოსტატი ვან სპელტინგა და სხვები.

ტურნირში უკვე გათამაშდა სამი ტური. I ტურში ბოტვინიკ-ფლორის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. II ტურში ფლორმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა დონერთან, ხოლო ბოტვინიკმა თანაბარ მდგომარეობაში გადადო პარტია ბაუმეისტერთან. III ტურში ორივე საბჭოთა მოჭადრაკემ ისახელა თავი. ბოტვინიკმა მოუგო ვან სპელტინგას, ხოლო ფლორმა — კუიპერსს.

ტურნირს ლიდერობს ს. ფლორი — 2 ქულა.

სად არის თასები?

ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში ახლახან დამთავრდა თბილისის ფრენბურთელთა შეჯიბრება კონსტიტუციის თასზე.

ქალთა ტურნირის ფინალში გავიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და განათლების საქალაქო განყოფილების კოლექტივები. თუ სტუდენტებს ფინალის გზაზე იოლი მატჩები ჰქონდათ და შედარებით ადვილადვე მოიგეს, მოსწავლეებს ძლიერი მეტოქეების დამარცხება მოუხდათ. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებმა ფინალამდე დაამარცხეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საკმაოდ გამოცდილი ფრენბურთელები ანგარიშით 3:0 (15:10, 18:16, 15:13). ფინალში კი წარმატება წილად ხვდათ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებს — 3:1 (15:13, 15:10, 3:15, 15:12).

ვაჟთა შორის ყველაზე საინტერესო გამოდგა სახელმწიფო უნივერსიტეტისა და განათლების განყოფილების სპორტსმენთა ნახევარფინალური მატჩი. ნორჩი ფრენბურთელები გადამწყვეტ პარტიაში ძალზე ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან — 12:9, მაგრამ ამაში მათ რამდენიმე უხეშმა შეცდომამ შეუშალა ხელი და საბოლოოდ სტუდენტებმა გადამწყვეტი პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 15:13.

ფინალში სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს შეხვდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ოსტატთა კოლექტივი. მართალია, ამჯერად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივი არც თუ ისე კარგ ფორმაშია, მაგრამ მას ამ მატჩის მოგებისათვის მხოლოდდამხოლოდ სამი პარტიის ჩატარება მოუხდა — 15:13, 15:12, 17:15.

ამგვარად, ტრადიციული თასის გათამაშება ფრენბურთში დამთავრდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გამარჯვებული გუნდების თასებით დაჯილდოებლობაც ტრადიციად გადაიქცა. საქმე იმაშია, რომ საქალაქო სპორტკავშირის მესვეურებმა ვერაფრით ვერ იქნა და ვერ დაადგინეს თუ ვის ჰქონდა ადრე მოპოვებული გარდამავალი თასები. ამის გამო ვერცერთ წელიწადს ვერ ახერხებენ, რომ ეს თასები მორიგ შეჯიბრებებზე მათ მფლობელებს მოატანინონ ხოლმე. ნუთუ ბოლოსდაბოლოს არ შეიძლება ამ უბრალო საქმის მოგვარება?

ფ. ლეონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარიღი საბოლოოდ დადგინდა

სონი ლისტონის და კასიუს კლეის მატჩის თარიღი საბოლოოდ დადგინდა. როგორც პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტოს კორესპონდენტი ნიუ-იორკიდან იუწყება, მატჩი მსოფლიო პირველობაზე მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის გაიმართება 1964 წლის 17 თებერვალს ქალაქ ლას-ვეგასში.

კორესპონდენტის ცნობით კასიუს კლეიმ ხთითხოვა ბრძოლის ფორმულის შეცვლა. ჩემპიონი და პრეტენდენტი იბრძოლებენ მხოლოდ 10 რაუნდს, ნაცვლად მიღებული 14 რაუნდისა.

საბჭოთა სპორტსმენები — პირველ ადგილზე

ვარშავის ცნობილი გაზეთი „პშეგლონდ სპორტოვი" თავის ერთ-ერთ ბოლო ნომერში აქვეყნებს საინტერესო სტატისტიკურ ცნობებს 1963 წლის სპორტული სეზონის შედეგებზე. პირველ ადგილზე არიან საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც განვლილ სეზონში აბსოლუტური უპირატესობა გამოამჟღავნეს. მათ ევროპის შეჯიბრებებში მოიპოვეს 77 მედალი (38 ოქროსი, 21 ვერცხლისა და 18 ბრინჯაოსი), მაშინ როცა მეორე ადგილზე გამოსულ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენებს აქვთ 37 (15 ოქროსი, 12 ვერცხლისა და 10 ბრინჯაოსი), ხოლო შვედებს — 28 მედალი.

ევროპის ქვეყნების სპორტსმენთა წარმატებების ქულობრივი შეფარდება ასეთია: 1. სსრ კავშირი — 493,83 ქულა, 2. გფრ — 255, 3. შვეცია — 147, 4. გდრ — 119,50, 5. იუგოსლავია — 117,83, 6. რუმინეთი — 117, 7. იტალია — 110, 8. ფინეთი — 108, 9. შვეიცარია — 106, 10. უნგრეთი — 104,50.

შედგება მესამე მატჩი

ამას წინათ ევროპის თასზე ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ ლუქსემბურგისა და დანიის ეროვნული ნაკრები გუნდები. ეს მატჩი ლუქსემბურგის გუნდმა საკუთარ მინდორზე ჩაატარა. იგი დამთავრდა ფრედ — 3:3.

რამდენიმე დღის შემდეგ მოწინაამდეგენი მეორე მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს კოპენჰაგენში. ანგარიში გახსნეს სტუმრებმა, მაგრამ დანიის ნაკრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა მადსენმა სულ მალე გაიტანა საპასუხო ბურთი. მეორე ტაიმში მადსენმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1 (საინტერესოა აღინიშნოს, რომ წინა მატჩშიც სამივე ბურთის ავტორი იყო იგივე მადსენი). საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე ლუქსემბურგელებმა შეძლეს საპასუხო გოლის გატანა და მატჩი კვლავ ფრედ დამთავრდა—2:2.

დანიისა და ლუქსემბურგის გუნდები მესამედ შეხვდებიან ერთმანეთს ნეიტრალურ მინდორზე — ამსტერდამში.

ფეხბურთის ქვეყნიდან

ბუენოს-აირესი. სსრ კავშირის „დინამოს" ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა კიდევ ერთი მატჩი ჩაატარა არგენტინის ცნობილ კლუბ „ინდეპენდენტესთან". გამარჯვება ამჯერად დარჩათ არგენტინელებს — 2:0.

ხანოი. დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების არმიელ ფეხბურთელთა გუნდების ტურნირი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ალბანეთის გუნდები. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. დამატებით 30 წუთში საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიტანეს 2 გოლი და ტურნირში დაიკავეს პირველი ადგილი.

სიქტივკარის ბავშვთა სპორტული სკოლის სათხილამურო და ტანვარჯიშულ სექციებში 250 ბავშვი მეცადინეობს.

სურათზე: სკოლის მოთხილამურეებს ავარჯიშებს მწვრთნელი ვ. მურავიოვი. აღსანიშნავია, რომ მისმა აღზრდილებმა მიმდინარე წელს გაზეთ „პიონერსკაია პრავდის" პრიზი მოიპოვეს.

ფოტო ვ. უნ და-სინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ვაჟა-ფშაველა... ასპარეზზე



დიდი ქართველი მწერალი ვაჟა-ფშაველა რომ ახალგაზრდობაში სპორტსმენი იყო, შეიძლება ეს ბევრმა არც კი იცოდეს.

ბოლო დროს ცნობილმა ქართველმა მკვლევარმა სოლომონ ყუბანეიშვილმა გამოავლინა და შეკრიბა მასალები და მოგონებები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს გავაშუქოთ ვაჟას ცხოვრების ეპიზოდები, როდესაც იგი სპორტულ ასპარეზზეც წარმატებით გამოდიოდა.

დღეს-დღეობით ჩვენ მოგვეპოვება ნამდვილი და ხელშესახები მასალები, რითაც უდაოდ დასტურდება, რომ ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველა ჯერ კიდევ ბავშვობიდან ეჩვეოდა ამტანობას, ივარჯიშებდა სხეულს, ეუფლებოდა მიზანში სროლას, სიმძიმეთა აწევას, ჭიდაობას, კრივსა და სხვ. ამავე დროს იგი ძალიან ღონიერიც ყოფილა. მის ტანად წარმოსადეგობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. მთიელი ფშაველი ჭაბუკი მის თანამედროვეებში გაკვირვებას იწვევდა თურმე. მას თავის გვარეულობაში რაზიკაანთ დევს ეძახდნენ. თვითონ ვაჟა თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „ჩემი წუთისოფელი", გადმოგვცემს, რომ იგი ჭაბუკობაში ცდილობდა არა თუ არ ჩამორჩენოდა სხვებს, არამედ მათ შორის პირველი ყოფილიყო. „სიყრმის დროს ერთი ზნე მჭირდა. თუ ვისმე რაიმე უნარს ქვეყანა ღირსებად უთვლიდა, უეჭველად ამ ღირსების წარმომადგენელი მე უნდა ვყოფილიყავი. აქებდნენ კარგ მოკრივეებს, მეც ვკრიობდი, რომ კარგი მოკრივის სახელი მომეხვეჭა, აქებდნენ კარგ მოჭიდავეს, მეც ვჭიდაობდი, რათა ფალავნის სახელი გამეთქვა".

ჯერ კიდევ თელავში სწავლის პერიოდში ვაჟა კარგი მოკრივე და ამავე დროს, ფალავანიც იყო. ვაჟას კრივში კარგი ამხანაგი ჰყავდა. ეს იყო შაქრო მალალაშვილი, რომელიც ვაჟას ტოლს არ უდებდა. როგორც ცნობილია, კრივი იმართებოდა შაბათ-კვირაობით ან სახალხო დღესასწაულებზე. ვაჟა და მისი ამხანაგები სწორედ ამ დროს სწავლობდნენ კრივს და ჭიდაობას. არსებობს არაერთი გადმოცემა, რომ მოკრივეთა შორის ვის მხარესაც ვაჟა აღმოჩნდებოდა, გამარჯვებაც იმას დარჩებოდაო.

ამაზე თვით ვაჟას გადმოცემა მოგვეპოვება:

„კრივი კარგი ვიცოდი, ვინაიდან მუდამ შაბათ-კვირაობით, უქმეებში კრივი იმართებოდა და ყველასათვის ფართო ასპარეზი იყო გადაშლილი. კრივში ჩემს საუკეთესო ამხანაგად ითვლებოდა ჩვენებური მღვდლის შვილი შაქრო მალალაშვილი. კრივში ერთად ვმონაწილეობდით".

გორში სწავლის დროს ვაჟა განთქმული მოკრივე ყოფილა. მასთან ერთად კრივში აქტიურად მონაწილეობდნენ მისი ზოგიერთი ამხანაგებიც. ვაჟას ახლო მეგობარი, ცნობილი მწერალი შიო მღვიმელი იგონებდა: „ჩავიდოდა თუ არა ვაჟა კრივში, ზემოთა უბნელებში ჩოჩქოლი ატყდებოდა: ჩამოვიდა ფშაველიო. ვაჟასთან ერთად ჩადიოდნენ კრივში ნიკო ლეონიძე, ნესტორ კიკნაძე და ლავრენტი ოქროპირიძე. მათი ჩასვლა და ზემოუბნელების დაძვრა ერთი იყო".

ვაჟა ტოლამხანაგებში კარგად დაეუფლა ჭიდაობას. მისი წამქცევი ბევრი არ იყო. იგი ანგარიშს მხოლოდ თავის ამხანაგს, გვარად ლაშაურს უწევდა (ლაშაურს ჭიდაობაში ფალავნის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი).

ვაჟა ხშირად ჭიდაობდა და გამარჯვებულიც გამოდიოდა და თუ ვინმე მას წააქცევდა, ამას აშკარად, ყველას გასაგონად იტყოდა. ვაჟას ამხანაგი დ. ქადაგიძე გადმოგვცემს, რომ „ერთხელ ვერის სასაფლაოს პირდაპირ მტკვრის ნაპირზე ვბანაობდით: მე, ვაჟა და ლაშაური. ვილაცამ ჩვენს პირდაპირ გაღმა ტანისამოსი გაიხადა, დაიმაგრა თავ-კისერზე და ჩვენსკენ გამოცურდა. გამოვიდა ნაპირზე და ტანისამოსი ძირს დაყარა... ვაჟამ უთხრა: ბიჭო, იქ ვეღარ ეტეოდი, რომ აქ გამოცურდიო?" „ვა, შენთან საჭიდაოდ მოვედი აი". — მიუგო იმან. ამაზე ვაჟამ უპასუხა: „შენ რა ხარ, რომ გეჭიდოო", უცნობმა მიახალა: „ბევრი შენისთანა მინახავსო, მომიბეგვია კიდეც, რა თავი მოგწონსო". ვაჟა დინჯად მივიდა, სტაცა ხელი, ისიც დაეჭიდა. ცოტა ხანიცა და ვაჟამ მაგრად მობღუჯა (ჩვენ სეირს ვუყურებდით. თუ ვაჟა სძლია, ლაშაური მზად არის), მოიქნია და მტკვარში გადაუძახა".

დაცულია ვაჟას ახლო ნათესავის —მიხეილ რაზიკაშვილის მოგონება, საიდანაც ჩანს, თუ როგორი მოჭიდავე იყო ვაჟა ჭაბუკობის დროს. ალავერდობას, გადმოგვცემს გ. რაზიკაშვილი, ვაჟა ამხანაგებთან ერთად თელავიდან წავიდა დღეობაში. ალავერდობას იქ დიდი ჭიდაობის გამართვა იცოდნენ, მთელი კახეთის მოჭიდავეები იქ იყრიდნენ თავს. მოწაფეებიც ჩაებნენ ჭიდაობაში. რაკი ვაჟა მაღალი ტანისა იყო, იგი დიდებს დასჭიდეს. წრიდან გამოუსვლელად ექვსი წააქცია. ვაჟა მეუბნებოდა „დავდიოდი რუსული მამალივით გათამამებული და კიდევ ვითხოვდი, მოჭიდავეებსო. ბოლოს გამომიყვანეს ერთი ხმელხმელი ვიღაც მეძროხე. მე ვთქვი, რომ ამას ერთი ხელის მოვლებით ხე და ქვას შემოვაწყვიტამო და გაუფრთხილებლად შევეტაკე. როგორ მოხდა არ ვიცი, მხოლოდ ის მახსოვს, რომ ჩემმა ფეხებმა ჰაერში შეითამაშა და მიწაზე ზღართანი მოვადინეო. ასე გავფუჭდი ფალავანი კაციო".

ვაჟას არც თავის მარცხის დამალვა უყვარდა და არც სხვისაო".

ვაჟას თურმე ხშირად დაეჭიდებოდა ხოლმე ცნობილი ქართველი მწერალი იროდიონ ევდოშვილი. ქიზიყელი მოჭიდავე ტოლს ხრ უდებდა ფშაველ მოჭიდავეს, მაგრამ აბა ვაჟას როგორ გაუძლებდა. იგი ყოველთვის სჯობნიდა მასო, გადმოგვცემენ.

ვაჟა ნიშანში იშვიათი მსროლელი იყო და ხშირადაც მონაწილეობდა ასეთ შეჯიბრებებში. შიო მღვიმელის გადმოცემით, ქართლში, სოფელ კავთისხევში, ჩივაძიანთ უბანში სადილობის დროს გარეთ კაკლის ქვეშ ისხდნენ მასპინძელი ვანო ჯაჯანაშვილი და სტუმრები, მათ შორის ვაჟაც. ამ დროს შინაურ ფრინველებს ერთი წივილ-კივილი აუტყდათ. ზემოდან ქორი დასტრიალებდა და შიშის ზარს სცემდა.

ვაჟამ იკითხა — კაცო, არაფერი გაქვთო?

თოფის მეტი არაფერი გვაქვსო,— უპასუხეს, გამოიტანეს თოფი. ვაჟამ აიღო თოფი, გაისროლა და ქორის ტრიალ-ტრიალით ძირს ჩამოვარდნა ერთი იყო.

არის სხვა გადმოცემებიც, რომლებიც ეკუთვნით თვით ვაჟას ახლო მცნობთა და მეგობართა წრის ადამიანებს, რომლებიც თვითმხილველნი ყოფილან ვაჟას სპორტული წარმატებებისა. კონსტანტინე კავკასიძე იგონებდა, რომ ათ მკათათევს ხევსურეთის სოფელ ხახმატში იცის დღეობა „ათენგენობა". აქ იკრიბებიან ხოლმე პირიქითა და პირაქეთა ხევსურები. დღეობისათვის ამზადებენ საკმაო არაყს, ლუდს და სხვ. ახალ მიცვალებულთა პატრონებს კი მოტანილი აქვთ სანიშნოდ და დოღისათვის სხვადასხვანაირი საჩუქრები მკვდართა მოსაგონებლად თუ მოსახსენებლად: ფარდაგები, ხალიჩები, ხურჯინი, მოყვანილი ჰყავთ ძროხები, ცხენები, თხები და სხვ. საჩუქრებს მიიღებს ის, ვინც ნიშნის სროლაში ან დოღში გაიმარჯვებს. ერთ ასეთ დღეობას ვაჟაც ესწრებოდა. მის პატივსაცემად ყმაწვილკაცებმა უკან დაიწიეს და სანიშნოსთან უფროსნი წარსდგნენ. ვაჟას უთხრეს ნიშნის შესახებ, იქ გაკეთებული რგოლების მნიშვნელობა და რომელ ნიშანში რა საჩუქარი ეძლეოდათ. სხვებთან ერთად ვაჟამაც გაამზადა თოფი. მან პირველ გასროლაზედვე გაიმარჯვა. მას არც ერთი სროლა არ გაცუდებია.

ვაჟა, როგორც იშვიათი მსროლელი, ყაბახშიაც გამარჯვებული გამოდიოდა. რევაზ გოჯიაშვილის გადმოცემით, სოფელ ჩობანში მცხოვრებ იოსებ ტერელაშვილის ადგილზე ყაბახი დადგეს. ერთი კვირის მანძილზე მთელი მაზრის ჩაფრები და ცნობილი მსროლელები მოდიოდნენ, მაგრამ ყაბახზე გამარჯვება ვერავის ხვდა წილად. ამ დროს თიანეთში ვაჟა ჩამოვიდა და მე, როგორც ნათლიმამას, მესტუმრა. მოსვლისთანავე მე ვაჟას შევძახე „ვაჟა ასე და ასეა საქმე და წამოდი, ესროლე და კაცი მასახელე-მეთქი". ვაჟაც დამეთანხმა და ცხენებით წავედით ყაბახზე. იქ ბევრი ხალხი იყო თავმოყრილი, აგრეთვე მსროლელნიც. ვაჟა ცხენიდან გადმოხტა და თოფი დაუმიზნა. გაისროლა ერთი და ნიშანიც გადმოვარდა.

ყველას უკვირდა ეს ამბავი. ვაჟას გამარჯვების ნიშნად კარგი ჭედილა მოართვეს.

ვ. სიდამონიძე

რედაქტორი ი. უგულავა.

დღეს საქართველოს ალპურ კლუბში სპორტის ოსტატი ო. ხაზარაძე წაიკითხავს მოხსენებას „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთამსვლური სექციის მიერ 1963 წელში ჩატარებული მუშაობის შედეგები".

დასაწყისი 19 საათზე.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის—3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11699